კომპანია NOVA-ს ოზურგეთული ბრენდი
მაღაზია „ლიზი-2“ გთავაზობთ:

– ხის პანელებს კედლისა და ჭერისათვის;
– სხვადასხვა სახისა და ზომის სახურავებს;
– ეკოლოგიურად უვნებელ საღებავებსა და წებოებს;
– სანტექნიკისათვის გათვალისწინებულ ყველა სახის მაღალხარისხოვან მასალას;
– ელექტროტექნიკასა და მოწყობილობებს, საცხოვრებელი ბინებისა თუ ოფისების ელექტრეფიცირებისათვის საჭირო მასალებსა და სხვა.

ფასები – ხელსაყრელი, მომსახურება – უნივერსალური.
მაღაზია „ლიზი-2“ – თქვენი საიმედო პარტნიორი!!!

ქალაქი ოზურგეთი, თაყაიშვილი №10

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 14 (10259) 9 აპრილი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ეს არის დღე, როდესაც სიცოცხლემ სიკვდილზე გაიმარჯვა, სიკეთემ ბოროტება დაამარცხა. დღე, რომელიც ჩვენთვის განსაკუთრებულია, ყველაზე დიდი სიხარულისა და იმედის მომტანია.

ყველა მართლმადიდებელს ვულოცავ ამ უდიდეს დღესასწაულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერებას, კეთილდღეობას და სულიერ ამაღლებას..მრავალ აღდგომას დაესწარით!!!

პატივისცემით,
გურიის მხარის გუბერნატორი,
მერაბ ჭანუყვაძე

უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს – აღდგომას ვულოცავ ყველა მართმადიდებელ ქრისტიანს, სრულიად საქართველოს!

ქრისტე აღდგა!

სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების და სულიერი ამაღლების დღეს ვზეიმობთ, აღდგომის მადლი და ძალა გვარავდეთ, მშვიდობასა და წინსვლას გისურვებთ.

პატივისცემით, **დავით დარჩია**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ ჩემო ოზურგეთელებო, გუჯელებო, მართმადიდებლებო!

მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს და ხსმენაში გაძლიერებას გისურვებთ.

ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგეკლებოდეთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
კონსტანტინე შარაშენიძე.

შპს „გზამშენი – 18“
გილოცავთ აღდგომის
მრწყინვალე დღესასწაულს!



„ენერგო-პრო ჯორჯიას“
ოზურგეთის სერვისცენტრი
გილოცავთ აღდგომის
მრწყინვალე დღესასწაულს!!

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ძლიერმა ქარმა ოზურგეთის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა

ალიონი. 2 აპრილს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს და კომუნიკაციებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ძლიერი ქარი დღის მეორე ნახევარში ამოვარდა. დაბა ლაითურსა და ნარუჯაში ქარმა ნაწილობრივ გადახადა სახურავები მრავალბინიან სახლებს. წაქცეულმა მრავალწლიანმა ნარგავებმა კი –ნარუჯა-ლაითურის გაზსადენი დააზიანა. მოთხრილია ათეულობით ძირი ხე.

ქარმა ასევე ნაწილობრივ გადახადა სახურავი სოფელ ნაგომრის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც საბავშვო ბაღიცაა განთავსებული. დააზიანა რამდენიმე სახლის სახურავი.

ქარმა 15-მდე საცხოვრებელ სახლს ნაწილობრივ გადახადა სახურავი სოფელ ძიმითში –ამის შესახებ მერის წარმოადგენლის თანაშემწემ **გელა სალუქვაძემ** გვითხრა.

ქ. ოზურგეთში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე, №121-ში დაზიანდა შაინიძის საცხოვრებელი სახლი, ნინოშვილის ქუჩაზე კი წააქცია მრავალწლიანი წიწვოვანი ხეები. ქარმა ზიანი ასევე მიაყენა სოფელ ნატანების და მთისპირის მოსახლეობას. ზოგიერთ დასახლებაში ელექტროგადამცემი ხაზების დაზიანების გამო მოსახლეობას დროებით არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. გამოძახება ჰქონდა სახანძრო სამსახურს.

–„ოზურგეთში ორ აპრილს მომხდარი სტიქიის შედეგად ძლიერმა ქარმა მრავალბინიანი კორპუსებისა და კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავები დააზიანა.

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა სტიქიის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში იმუშავეს. ელექტროენერგიის მიწოდება ყველა სოფელში აღდგენილია.

ამ ეტაპზე მიყენებული ზარალის ოდენობას ვითვლით, დაზარალებულ მოსახლეობას მყისიერ დახმარებას გავუწევთ." - განაცხადა გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

ოზურგეთში მარადმწვანე კავკასიური ჭანჭყატის ნარგაობა გაკრიჭეს

ალიონი. გასულ ხუთშაბათს, ქ. ოზურგეთში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე, პოლიციის წინ მარადმწვანე გაზონები გაკრიჭეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის თანამშრომლები ამბობდნენ, რომ მათ კავკასიური ჭანჭყატის ნარგაობა ზემოდან დავალებით გაკრიჭეს, რადგან ტრანსპორს მოძრაობისას ხილვადობაში უშლის ხელს.

გაზონების აჭრას მოსახლეობის მწვავე რეაქცია მოჰყვა. თავისი უარაოფითი პოზიცია დაფიქსირა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილმა.

მოგვიანებით ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ შემდეგი ტექსტი გავრცელა:

„გაშენებულმა მწვანე ნარგავებმა მართლაც, რომ გაალამაზეს ჩვენი ქალაქი!

დღევანდელ ფაქტს, ბუჩქების გადაჭრას ასეთი სახით, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ჩემთან საუბარში მძღოლების ხილვადობის შეფერხებით ხსნიან.

მძღოლების უსაფრთხოება მნიშვნელოვანია, თუმცა მიმაჩნია, რომ უპირველესია მათი მხრიდან საგზაო წესების სრული დაცვა. უკვე გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა კი სპეციალისტების მიერ წესების და საჭირო პროცედურების დაცვით უნდა განხორციელდეს, რათა არ მოხდეს ნარგავების დაზიანება და ქალაქის გამწვანებული ტერიტორიის იერსახის შეცვლა. მოვუწოდებ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, გათვალისწინონ ჩვენი მოქალაქეების აზრი, რომელთა უმრავლესობას გამწვანებული ქალაქი მოსწონს და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა განახორციელონ გეგმაზომიერად, ყველა საჭირო ღონისძიების დაცვით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - მწვანეები"

ქალაქ ოზურგეთში ილია ჭავჭავაძის, დავით აღმაშენებლის და სხვა ქუჩებზე მწვანე ნარგაობა ქალაქ ოზურგეთის ყოფილი მერის ბეგი სიორიძის ინიციატივით დაირგო.

მაია ცქიტიშვილმა და რწმუნებულ-გუბერნატორებმა რეგიონებში არსებული პრობლემები განიხილეს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი რწმუნებულ-გუბერნატორებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე რეგიონებში არსებულ პრობლემებზე, ასევე მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს.

მაია ცქიტიშვილმა ყურადღება რეგიონების საინვესტიციო პოტენციალსა და განვითარების პერსპექტივებზე გაამახვილა. საუბარი შეეხო მოსახლეობის პირველად საჭიროებებს და სერვისების გაუმჯობესების აუცილებლობას.

მინისტრმა ადგილებზე არსებულ მდგომარეობაზე და პრიორიტეტებზე, გუბერნატორებისგან დამატებითი ინფორმაცია მიიღო და მათი წინადადებებიც მოისმინა. როგორც მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, ახლო მომავალში რეგიონებში გასვლას და არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობას გეგმავს.

საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია სათემო კავშირ „გურიანთას“ განცხადებას გამოეხმაურა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია ა(ა)იპ სათემო კავშირ „გურიანთას განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც სოფელ გურიანთის, კერძოდ ციხისფერდის უბანში გაზიფიცირების სამუშაოების დროს სატრანსპორტო გზის დაზიანებას ეხება.

კომისიის ხელმძღვანელი ლავრენტი ბიგვავა, სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ მაია ზოიძესთან და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე მარიკა ჩხიკვიშვილთან ერთად ადგილზე პრობლემის შესწავლად იმყოფებოდა.

„ჩვენ ადგილზე მისვლით ვნახეთ თუ რა პრობლემასთან გვაქვს საქმე. პრობლემა მართლაც მწვავეა და საჭიროებს დაუყონებლივ გადაჭრას, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს რისკი ციხისფერდის უბნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწყვეტილი აღმოჩნდეს სოფლის ცენტრალურ გზას. კომისია მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას, რათა შემჭიდროვებულ ვადაში უზრუნველყონ შესაბამისი სამსახურების მეშვეობით არსებული მდგომარეობის შესწავლა" - აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ ლავრენტი ბიგვავამ.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

1-3 აპრილს, ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირზე კარგი შედეგი აჩვენა ოზურგეთის ნაკრებმა გუნდმა.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული 62. კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა ნიკოლოზ შიუკაშვილმა (მწვრთნელი კახაბერ აბაშიძე).

მეორე ადგილოსნები 68 და 85 კგ. წონით კატეგორიაში გახდნენ: გიორგი გიორგაძე (ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები); ლევან ჭელიძე (გურამ და დავით მაჭარაშვილები).

38, 48, 68 კგ. წონით კატეგორიებში მე-3 ადგილზე გავიდნენ: ლუკა ბენდელიანი (კახაბერ აბაშიძე); სერგო სარქისიანი (გურამ აბაშიძე, ბექა ჩოფლიანი); დათო ჭაღალიძე (ბექა ჩოფლიანი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მიწის ადგილობრივი გადასახადის შემოღებას გეგმავს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ," საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

საკითხი დეპუტატებთან განსახილველად მუნიციპალიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **ლაშა თავაძემ** წარმოადგინა.

საკრებულოს სხდომათა დარბაზში მიკროფონი არ დგას და დარბაზის ბოლოში, სადაც ჟურნალისტებისთვისაა ადგილები განკუთვნილი, ხმაურის გამო თითქმის არაფერი ისმოდა, თუმცა არც მომხსენებელთან ახლოს მჯდომ დეპუტატებს არ დაუსვამთ კითხვები თუ რატომ უნდა შემოიღოს მიწის გადასახადი, როცა სახელმწიფომ მოსახლეობა 5 ჰექტარ მიწის ფართობის ფლობისთვის გადასახადიდან გაათავისუ-ფლა.

საკრებულოს მიერ წარმოდგენილ ბეჭდურ ვერსიაში ვკითხულობთ, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლემდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე -2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე -1,5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს –3-ჯერ;

რაც შეეხება ფიზიკურ პირის დასაბეგრ ქონებას, წლიური განაკვეთი ასეთია:

40 000-დან 100 000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის –საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი;

100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის –1,0 პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია:

სახნავი (მათ შორის მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) და საკარმიდამო 1 ჰექტარი-73 ლარი; სათიბი –20 ლარი; საძოვარი –16 ლარი;

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების 1 კვ. მეტრზე წლიური გადასახადი განაკვეთებია: ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე 1კვ. მ. -0,288ლარი; დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში -0, 312 ლარი; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში 0,216 ლარი.

ქონების გადასახადიდან თავისუფლდება:

ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვადრატულ მეტრს:

ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწია ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვადრატულ მეტრს.

საკრებულოს სხდომის შემდეგ საკრებულოს წევრმა ლეიბორისტული პარტიიდან **დავით მამალაძემ** გვითხრა:

–მიწებზე ფასებს სახელმწიფო ადგენს, პარლემენტმა უნდა იმსჯელოს. სანამ საკითხი დასამტკიცებლად საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარადგენენ, მანამდე ყველა დეტალია გასარკვევი. სახელმწიფომ კი გაათავისუფლა მოსახლეობა პრივატიზაციით მიღებული 5 ჰექტრამდე მიწის გადასახადიდან, ***მაგრამ ხომ არ არის ჩუმი დირექტივა?*** *იმედია, დეპუტატებო მომდევნო სხდომაზე მიწის ფასების თემის განხილვას უფრო მომზადებული შეხვდებიან და თავიანთ პოზიციას დააფიქსირებენ.*

შეხვედრა სტუდენტური პარლამენტისა და საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების წარმოომადგენლებთან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და მისი მრჩეველი, კოკა კიღურაძე სტუდენტური პარლამენტისა და „საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების" **ICSU**-ის წარმომადგენლებს - გიგა გლუნჩაძეს და ანზორ მეგრელიშვილს შეხვდნენ.

აღნიშნული ორგანიზაცია პროგრამის ფარგლებში „განავითარე შენი რეგიონი" ქვეყნის მასშტაბით არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს.

სტუმრებმა ადგილობრივ ხელისუ-ფლებას პროექტის დეტალები გააცნეს და აქცენტი მის მნიშვნელობაზე გაკეთეს.

„განავითარე შენი რეგიონის" ფარგლებში ხდება ახალგაზრდა ლიდერების აღმოჩენა-მობილიზება და მრავალფეროვანი აქტივობებით მათი სოციალური უნარების განვითარება.

როგორც პროექტის ავტორები განმარტავენ, ინიციატივას განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია და მისი მეშვეობით, შესაძლებელია, ახალგაზრდა თაობის მასობრივი ჩართვა სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ორგანიზაციას აქვს უდიდესი გამოცდილება მასშტაბური საზაფხულო და ზამთრის ბანაკების მოწყობაში, რაც დადებითად აისახა სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაზე.

კონსტანტინე შარაშენიძის განცხადებით ის მზადაა მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერისა და სამომავლო ურთიერთ თანამშრომლობისთვის.

მერის მრჩევლის კოკა კიღურაძის თქმით იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღოს მსგავსი პროგრამების განხორციელებაში, აუცილებელია გამოიკვეთოს მისი პასუხისმგებლობა, რისთვისაც ორგანიზაციამ მას დოკუმენტურად უნდა წარმოუდგინოს თუ რამდენად იქნება დაცული ბავშვთა უსაფრთხოების ნორმები.

ყურადღება!
პასქის ფესტივალი გაიმართება 11 აპრილს სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლმუზეუმში.
დასაწყისი 14 საათზე

რა სახის დახმარებებებს გასცემს მუნიციპალიტეტი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესახებ" საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძემ** წარმოადგინა.

მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 0-დან 57 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაეწევათ თითოეულ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით, ხოლო 57 001-დან 150 001-მდე სარეიტინგო ქულით – ყოველთვიურად მატერიალურ დახმარება გაეწევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით;

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური დახმარება გულისხმობს ბენეფიციარების წელიწადში ორჯერ (წინასაკოლოდ და საახალწლოდ) თანხის გადარიცხვას 400-400 ლარის ოდენობით;

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა გულისხმობს: 0-დან 70001-მდე სარეიტინგო ქულით ოჯახების დახმარებას ერთჯერადად 100 ლარის ფინანსურ დახმარებას მედიკამენტების შესაძენად ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით:

70001-დან 150 000-მდე სარეიტინგო ქულით –100 ლარს პირად ანგარიშზე ჩარიცხვით ან უნაღდო ანგარიშსწორებას მედიკამენტებზე ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით;

0-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით მოქალაქეები მიიღებენ სამედიცინო ანაზღაურებას თანადაფინანსების სახით, კერძოდ:

1. 150 ლარამდე ინვოისით წარმოდგენილი თანხა ანაზღაურდება სრულად;
2. 0-დან 500 ლარამდე ინვოისი ანაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50%;
3. 501-დან 1500 ლარამდე – ასანაზღაურებელი თანხის 50%, არაუმეტეს 400 ლარისა;
4. 1501 ლარის ზემოთ 500 ლარი.

„C" ჰეპატიტით დაავადებული პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსების პროგრამა თანადაფინანსებას ითვალისწინებს, არაუმეტეს 300 ლარისა.

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა გულისხმობს ყოველკვარტალურად თანხის გადარიცხვას 150 ლარის ოდენობით; ასევე, პერიტონულ შემთხვევებზე – თბილისში ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით;

ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებაში ასანაზღაურებელი თანხის გადარიცხვას, არაუმეტეს 500 ლარისა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 წელს გადაცილებული შშმ პირების დაფინანსებას, რომლებიც სარგებლობენ საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას და არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის" მომსახურებით, რაც მოიცავს:

ა) ბენეფიციართა დღის ცენტრში ტრანსპორტირებას;

ბ) ბენეფიციართა ყოველთვიურ მომსახურებას კვებით;

გ) ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

დ) ბენეფიციართა სანიტარულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფას;

ე) სხვა აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას;

ე) საქველმოქმედო ასოციაცია „გურია" და არაკომეციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსება თითოეულ ბენეფიციარზე იქნება არაუმეტეს 250 ლარისა;

დ) გარდა ამისა მკვეთრად შეზღუდული შშ ოირები მიიღებენ ერთჯერად დახმარებას 150 ლარის ოდენობით;

საქართველოს იკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ასეთი ოჯახებისთვის სათბობით უზრუნველყოფის მიზნით მატერიალურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით; იძულებით გადაადგილებულ პირთა გადაცვალების შემთხვევაში, ოჯახისათვის სარიტუალო ხარჯების გასაწევად 250 ლარით დახმარებას;

სარიტუალო დახმარების პროგრამა ითვალისწინებს სამშულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების მონაწილე პირის გარდაცვალების შემთხვევაში –ოჯახის ფინანსურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით;

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მზიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გამოვლენას, აღრიცხვას და პროგრამით მოსარგებლეებისთვის საჭირო მასალების ღირებულებისდაფინანსებას, გამონაკლის შემთხვევაში ფულადი დახმარების გაწევას და ქირის საფასურის უზრუნველყოფას;

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს 0-დან 70 000-მდე ოჯახისათვის დაფინანსებას ინვოისით წარმოდგენილი თანხის 80%, არაუმეტეს 150 ლარის ფარგლებში;

სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისათვის საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს: ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 70 00-ის ჩათვლითაა, ბავშვის დაბადების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ყოველთვიურად, ერთი წლის განმავლობაში გამოუყოფს 100 ლარს ბავშვის მოვლის საგნებისა და საკვების შესაძენად.

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ეს დღე გამორჩეული და განსაკუთრებულია, ყველაზე დიდი სიხარულისა და იმედის მომცემი დღეა. გისურვებთ რწმენაში გაძლიერებას, სიკეთესა და სიყვარულს.

გიორგი ღურჯუმელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ძვირფასო მეგობრებო, აღდგომა საყოველთაო განახლებისა და სიკვდილზე სიცოცხლის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღესასწაულია. ქართველმა ერმა ეს დიდი დღესასწაული არა მარტო ხელიგით, არამედ ეროვნულ დღესასწაულად აქცია. გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და გისურვებთ კეთილი იმედების გამართლებას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ვასო ჩიგოგიძე

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ!

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

აღდგომა ხომ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების და სულიერად ამაღლების დღეა.

გისურვებთ სულიერ სიძლიერეს, ქვეყნის გამთლიანებას და ყველა კეთილი ოცნების ასრულებას.

ტარიელ (გელა) აროშიძე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ქრისტე აღდგა!

ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას.

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, უფლის წყალობა და მოყვასის სიყვარული. სიკეთე და სიხარული თქვენ და სრულიად საქართველოს

ბახვა დოლიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე

გილოცავთ ჩემო ოზურგეთელებო, ლაითურელებო. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. არ მოგაკლებოდეთ უფლის მადლი და წყალობა. სულიერი ძლიერება და წარმატებული მომავალი.

გია ჩაგანავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ჯანსაღი ცხოვრებით, სულიერი ძლიერებით, სიკეთით და სიხარულით გაითენეთ კიდევ მრავალი. გისურვებთ სამშობლოს გამთლიანებას და ოჯახების გაძლიერებას

გენო ჩავლეშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე

ქრისტე აღდგა! გიხარობენ.

გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს. გაიხარეთ აღდგომის მადლით. სულის სიმტკიცე, მოყვასის სიყვარული სიკეთე ყოფილიყოს მეგზური თქვენი ცხოვრებისა.

გიორგი თოიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ლიხაური

ვულოცავთ!

დავით შემოქმედელი 65 წლისაა

ეროვნულ-საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს კულტურის დესპანი **დავით შემოქმედელი** 65 წლისაა.

ბატონი დავითი გახლავთ გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლის, ივანე მაჩაბლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი.

იგი არის სხვადასხვა ჟანრის ლექსების, მოთხრობების და ესსეების ავტორი. გამოცემული აქვს 20-მდე წიგნი. მისი შემოქმედება თარგმნილია და გამოცემულია რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე.

შარშან მისი ხელმძღვანელობით, რუსთაველის საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია შოთა რუსთაველის 850 წლის აღსანიშნავად. საიუბილეო ღონისძიებების აპოგეა იყო ბერლინში, .— ნიუ იორკში ინგლისურად გამოცემული სამეცნიერო წერილების კრებულის „ვეფხისტყაოსანი□ მსოფლიო ლიტერატურის შედევრი““□ პრეზენტაცია. ეს წიგნი დავით შემოქმედელის ავტორობით გამოიცა..

ვულოცავთ სახელოვან მწერალს საიუბილეო თარიღს და კვლავ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ!

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

სამშენებლო მასალების მაღაზია „კარგო“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ჩვენ მუდამ თქვენს სამსახურში ვართ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თოჯინების თეატრი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

i ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

აღდგომა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც დიდი სიხარულის მომტანია. გისურვებთ ეს დღე თითოეული თქვენგანისათვის ყოფილიყოს განახლებული ცხოვრების, გამარჯვების და წარმატების საწინდარი.

ამირან გირკელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი

i ძვირფასო მეგობრებო, აღდგომა სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების უდიდესი დღესასწაულია.

მინდა ეს დღესასწაული მივულოცო ჩემს თანამემამულეებს, ოზურგეთლებს, ჩემს ბახვლებს.

სულით სიძლიერეს, წინსვლასა და სიხარულით სავსე ცხოვრებას გისურვებთ!

ეროლი გორდელაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

i ძვირფასო ოზურგეთლებო!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ძლიერ და ერთიან საქართველოში გვეცხოვრის!

გოჩა კილაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

i ქრისტე აღდგა!

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს – ქრისტეს აღდგომას ჩემო თანამემამულეებო, ჩემო შრომელებო.

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს.

დავით ჭაკნელიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორების" თავმჯდომარე

i გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

რწმენა, ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის, თანადგომის საფუძველი. გისურვებთ საქართველოს გამთლიანებას,. სიკეთეს, სიხარულს და სიძლიერეს.

ბესო ქათამაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი დაბა ნასაკირალი

i აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ ჩემო ოზურგეთლებო, მთისპირელებო!

უფლის წყალობით მიეგებეთ მრავალს. ძლიერი რწმენა ძლიერი ოჯახის საწინდარია. ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა. ნათელ მომავალს გისურვებთ.

ლადო ჩავლეიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. მთისპირი

ჩემო ოზურგეთლებო!

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას მოგილოცავთ! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და დღეგრძელობას.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.

გელა ჭანუყვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების უფროსი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერებას.

ქრისტე აღდგა!

გია მამაკაიშვილი,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

სააქციო საზოგადოება "იმედი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

რა? სად? როდის? -გამარჯვებული ვაკიჯვრის საჯარო სკოლა გახდა

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაზაფხულის სეზონის ინტელექტ-თამაშის: რა? სად? როდის? ფინალური შეხვედრა გაიმართა. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლის გუნდები: 2 საჯარო სკოლა, გუნდი, „გრაალი";წმინდა ნინოს საჯარო სკოლა გუნდი, „მთიები"; შრომის საჯარო სკოლა, გუნდი „ინოვატორები" და ვაკიჯვრის საჯარო სკოლა .გუნდი „ტოლტოევსკი".

საბოლოო გამარჯვება **სოფელ ვაკიჯვრის საჯარო სკოლამ** მოიპოვა. ინტელექტ-თამაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების მხარდაჭერით ჩატარდა. აღნიშნული სამსახურის თანამშრომლმება სიმბოლური საჩუქრები ოთხივე ფინალისტ გუნდს გადასცეს.

სუმელას ლეგენდა - თურქეთში მდებარე უნიკალური მონასტერი, სადაც სანთლის ანთება წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს შეიძლება

სუმელას უნიკალური მონასტერი ლაზეთში, 1200 მეტრის სიმაღლის მთაზე მდებარეობს და 386 წელს დაარსდა. ზაფხულში იქ მისვლა მხოლოდ ფეხით არის შესაძლებელი, რადგან ვიწრო გზებია და ტრანსპორტი ვერ ახერხებს გადაადგილებას. რაც შეეხება ზამთარს, იქ მისვლა წარმოუდგენელია. ბერები მონასტერში მეცხრამეტე საუკუნიდან ცხოვრობენ, თუმცა კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თავის ისტორიას მე-4 საუკუნიდან ითვლის.

მას ხშირად ვარძიასაც ადარებენ. „სუმელა" ლაზურად სამებას ნიშნავს. მონასტერში ულამაზესი ფრესკები დღემდეა შემორჩენილი, თუმცა სამონასტრო მხატვრობა მე-13 საუკუნით თარიღდება. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა ყველაზე მეტი ქართველი ბერი ტაძარში. მოგვიანებით როდესაც თურქეთში მართმადიდებლური სარწმუნოების შეზღუდვა დაიწყო, ამან ტაძარზეც იქონია გავლენა და მსახურება შეჩერდა.

ბერების საცხოვრებელი მე-19 საუკუნეში აიგო. მე-20 საუკუნეში კი სა-

მონასტრო ცხოვრება შეჩერდა. ბოლო რამდენიმე წელია, 15 აგვისტოს, ბერძნული კალენდრით მარიამობას, უამრავი მომლოცველი სტუმრობს ტაძარს და წირვა-ლოცვა აღევლინება.

სხვა დღეებში კი ტაძარში სანთლის ანთებაც კი აკრძალულია. მხოლოდ მონასტერთან შემორჩენილ ბაზილიკაზე შეუძლიათ მომლოცველებს სანთლის ანთება.

აფხაზი და გურული ქალები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქალთა ცენტრი" პროფესორ ია ვერულაშვილის ხელმძღვანელობით, ორი ათეული წელიწადია ოჯახში ძალადობის თემატიკაზე მუშაობს.

მან პროექტში „ძალადობის პრევენცია და ნდობის აღდგენა ქართველ და აფხაზ პროფესიონალებს შორის" გურულ და აფხაზ ქალთა წარმომდგენლები გაერთიანა:

ია ვერულაშვილი, პროფესორი, ,,ქალთა ცენტრის" ხელმძღვანელი: ეს არის ძალიან ნაყოფიერი, ძალიან სერიოზული პროექტი. ექსპერტთა შეფასებით იგი გახლავთ ერთერთი პროექტი, რომელმაც დატოვა კვალი აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ეს პირველ ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენ შევეხეთ პრობლემას, რომელიც იდენტურია ორივე მხარეს. საქართველოს მხარეს აქვს აწყობილი ძალიან მაგარი სისტემა — ოჯახური ძალადობის კანონიდან დაწყებული, სახელმწიფო ფონდი, პრევენცია, ურიდიული დახმარება, თავშესაფრები, კრიზის ცენტრები... ეს მოდელი სამომავლოდ დაინერგება აფხაზეთში.

აფხაზეთის ქალთა დელეგაციას სოციოლოგმა ხათუნა დოლიაშვილმა მიაწოდა მეთოდიკა, რის საფუძველზეც მათ ჩატარეს კვლევა. სახელმწიფო ფონდის ექსპერტმა ირმა ალადაშვილმა გააცნო კანონმდებლობა, ,,ქალთა ცენტრის" ექსპერტებმა ვესაუბრეთ როგორ უნდა იმუშავონ თემის, საზოგადოების დონეზე და ექიმებთან, სკრინინგის შესახებ.

ექიმთან ვიზიტის შედეგად შესაძლებელია ძალადობის ნიშნების პირველადი გამოვლენა. ძალადობის შემთხვევათა 90 პროცენტის შემთხვევაში, რომელიც არ არის კრიმინალთან დაკავშირებული, ადამიანი სხვადასხვა ჩივილის დონეზე მიდის ექიმთან. ექიმთან ვიზიტის დონეზე, გამოვლენილი ძალადობა იძლევა შემდგომი გართულების პრევენციის საშუალებას. ამიტომ, აუცილებელია ექიმების ჩართვა ძალადობის პირველადი გამოვლენის პროგრამაში.

კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგმა ნინო გოგოხიამ აუხსნა ტრენინგის მონაწილეებს თუ როგორ ტარდება მსხვერპლის ფსიქორეაბილიტაცია, კრიზისული ცენტრის დირექტორმა ინდირა რობაქიძემ გააცნო ცენტრის მუშაობა და აფხაზეთში შეიქმნა პატარა ცენტრი, რომელიც ატარებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, სადაც მუშაობს ცხელი ხაზი, რეფერირებას უკეთებს ექიმს და არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თემებში მუშაობს ოჯახური ძალადობის პრევენციაზე.

- სოხუმის არასამთავრობო ორგანიზაციას ,,ქალთა ცენტრთან" მჭიდრო კავშირი აქვს?

- ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს ,,ქალთა ცენტრთანაც" და სახელმწიფო ფონდთანაც. არის საკითხები, რომლებიც საჭიროებს ჩვენს ჩართულობას.

—სოხუმის ქალთა ორგანიზაციასთან ერთად თქვენი პროექტის მონაწილეა გურიის ქალთა ორგანიზაციები, ექიმები, სოციალური და პოლიციის მუშაკები, მუნიციპალიტეტების თანამშრომლები.

—ამ პროექტში გურია შემთხვევით არ მოხვედრილა. არსებული სტატისტიკით, გურიაში საგანგაშოდ მცირეა შემაკავებელი ორდერის გამოწერის ფაქტი. ეს მუთითებს იმაზე, რომ ნაკლებია ინფორმაცია და გურიას სჭირდება გაძლიერება.

მადლობელი ვარ გურიის ჯგუფის, რომელიც ძალიან მონდომებულია, აქტიურად მუშაობენ პრობლემის აღმოფხვრისათვის. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ აუცილებელია მამაკაცებთან, ბავშვებთან მუშაობა, ამ პროგრამის საგანმანათლებლო სფეროში დანერგვა, ძალადობის დროული გამოვლინება და ქალის გაძლიერება ეკონომიკურად. სულ მესმის ოჯახში ფული არ მისცეს და არ აქვს ქალს, რომელსაც შრომა შეუძლია. რაღაც უნდა ისწავლოს, გააკეთოს და თავისთავი მინიმალურად მაინც უზრუნველყოს.

- თქვენ შეიმუშავეთ ანკეტების ფორმა ექიმებისათვის, რომლის მიხედვით ჩნდება ეჭვი ძალადობის პირველ სიმპტომებზე, არის ეს ანკეტები დანერგილი ჯანდაცვის ობიექტებში?

—ეს ანკეტები არის მსოფლიოში მიღებული, ჩვენ გავაკეთეთ ჩვენს პირობებზე ადაპტაცია.... ათი წლის წინ ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავეთ და დღეს უკვე სახელმწიფო დონეზეა დანერგილი. ექიმთან ვიზიტისას ხდება სკრინინგი, შემდგომ, დოკუმენტირება - იწერება ისტორიაში, თუ სიტუაცია გამწვდა რამდენიმე წლის შემდეგ, ეს ჩანაწერი ისტორიაში დაეხმარება მას, ხდება რეფერირება - უსაფრთხოების გეგმის შემუშავება.

—მხოლოდ ფიზიკური ძალადობის შედეგია ჯანმრთელობის დაზიანება?

—არა მარტო, ხშირ შემთხვევაში პიროვნებას არც აქვს გაცნობიერებული, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მიმართავს ექიმს. აქედან გამომდინარე ექიმი არის სწორედ ის პირი, რომელსაც აქვს პირველი კონტაქტი მსხვერპლთან.

ჯანდაცვის დაწესებულება, ქალთა კონსულტაცია, შეიძლება იყოს ერთადერთი ადგილი, რომელსაც ქალები მიმართავენ ქრონიკული დავადებების გამო და არ უკავშირებენ მათ პრობლემებს ოჯახში ძალადობას, ამ დროს ჯანდაცვის დაწესებულებას შეუძლია რუტინული სკრინინგის საშუალებით გამოავლინოს ძალადობა, მედ-პერსონალს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ძალადობის პრევენციაში, ასევე დაზარალებულებს გაუწიონ ინფორმაციული მხარდაჭერა. აქვე ხდება სამედიცინო სერვისების მიწოდება და ხანგრძლივი მეთვალყურეობა ორსულზე, რაც უნიკალურ საშუალებას აძლევს ექიმს გამოავლინოს და დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლ ორსულ ქალს.

ძალადობა ორსულობის პერიოდში-დაკავშირებულია ორსულობის პათოლოგიური მიმდინაროებასთან, ნაადრევ მშობიარობასთან, დედათა და ბავშთა სიკვდილიანობასთან. ვითარდება ისეთი დაავდებები, როგორიცაა ასთმა და სხვა სასუნთქი სისტემის, გულსისხლძარღვთა, კუჭნაწლავის ტრაქტის დაავდებები, მათ შორის წყლულოვანი დაავდება, დიაბეტი, ნევროლოგიური დარვევები და ძვალკუნთოვანი პათოლოგიები. ქალებს, რომლებიც არ არიან ორსულად, სკრინინგი უტარდებათ: რუტინული სამეანო -გინეკოლოგიური ვიზიტის დროს. ძალადობაზე მუთითებს პაციენტის გარეგნობა და ქცევა, სულიერი მდგომარეობა (მაგალითად, ნამტირალევი, დათრგუნული და სხვ).

ოჯახში ძალადობის გავლენა გახლავთ პოსტრავმატული სტრესი - ქრონიკული დაავდებები, არასასურველი ორსულობა, სექსობრივი გზით გადამდები ინფექციები, აივ ინფექცია/შიდსი, და სხვ.

ძალადობას დიდი გავლენა აქვს ბავშვთა ჯანმრთელობაზე - მათ აღენიშნებათ ასაკისთვის შეუფერებელი დაზიანებები, დამწვრობები, დაზიანებები სასქესო ორგანოების არეში.

ძალადობის შედეგია ფსიქოლოგიური სტრესი, როგორიც არის, დეპრესია, თვითმკვლელობის იდეა ან მცდელობა, ურთიერთობის პრობლემები, აღგზნებულობა, უძილობა, უმადობა, პანიკური შიში, ტრავმის შემდგომი სტრესული მოშლილობა და ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება. ამიტომ, ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგების მონაწილეები იყვნენ მედიკოსებიც."

ქალბატონი ია სიტყვებით მნიშვნელოვანია იმის გაზრება, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონფლიქტი არ არის, ის დანაშაულია და ისჯება კანონით.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში აუცილებელ დახმარებას მიიღებთ ცხელ ხაზზე **116006** დარეკვით. ზარი უფასოა.

ლია ჯილაძე (დ)

სკანვორდი



№ 12-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — იოჰან ვოლფგანგ გოეთე; პარლამენტარი ... მარშანია — ადა; პატარების საჭმელი — ფაფა; ისტორიული რეგიონი ჩეხეთში — ბოჰემია; მისნობის ქალღმერთი — ჰეკატე; წარწერა კადრზე — ტიტრი; მშობელი — დედა; ნაცია — ერი; რუმინელი პოეტი — არგეზი; იტალიელი მომღერალი ქალი — კარა; მამაკაცის საზაფხულო სამოსი — კიტელი; ძაბვის ერთეული — ვოლტი; ლიტერატურული ჟანრი — დითირამბი; ვენახი — ხარდანი; პლანეტა — მერკური; სიგრძის საზომი ერთეული — იარდი; ერთუჯრედიანი არსება — ამება; სოფელი ზუგდიდში — ორული; ძირმაგარა — ფურუნკული; ვაი სვანურად — ვოი; ვეფხისტყაოსნის ავტორი — რუსთაველი; ჭურის ხუფი —როგო; სახელმწიფო ამერიკაში — ბოლივია; კოშკი პარიზში — ეიფელი; „ჩვენი თამაში“ — რაგბი; „ქვევრის“ შავი პერსონაჟი — გოგია; ჭაობის მცენარე — ისლი; რუსული ავტომობილი — ნივა; ტბა სომხეთში — სევანი; ჩანჩქერი ნორვეგიაში — კილე ქალის სახელი — ნენსი; ჰოლანდიელთა საყვარელი ყვავილი — ტიტა; კორეის დედაქალაქი — სეული; გაზაფხულის ყვავილი — ია; ხეობა აფხაზეთში - კოდორი; ბარსელონას მცველი — პიკე; მდინარე ახალ ზელანდიაში — კლარენსი; გადასახადის პროპორციული დაბეგვრა — დეგრესია;

ერთი ოჯახის სევდიანი ისტორია

ნუგზარ ასათიანი

თამარ მელიქაძისა და ხარიტონ ჯინჭარაძის ოჯახი ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ვერ გადაურჩა გასული საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების სუსხს. 13 წლის წინ ამ ოჯახის უკანასკნელი წევრი გარდაიცვალა. დარჩა ლამაზი მოგონებები და სევდიანი ისტორია, რომლის გადმოცემას 10 წელზე მეტია ვლამობ...





ბარათები საფრანგეთიდან

„დედა,

აგერ რამდენიმე დღეა რაც წერილი გამოგიგზავნე. ველოდი შენგან პასუხს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მივიღე, რატომ არ ვიცი.

ახლა გიგზავნი წერილს იმიტომ, რომ ახალ მისამართზე გადავდივარ...

მომწერე, რომ დროზე ვიყო გარკვეული, რადგან აქ აუტანელი მდგომარეობაა, ყველა წვრილმანის მოწერას ვერ ვახერხებ....

ყველა ეს მდგომარეობა მაიძულებს ჩავწერო იტალიის მოხალისეთა ლეგიონში, სადაც თვიურ ჯამაგირს იძლევიან აბისინელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ ეს არის ჩემთვის და აგრეთვე სხვისთვისაც გამოსავალი. კიდევ რამდენიმე გამოსავალი ვიცით. ველი პასუხს.

ბაყათარი.“

(იტალია-აბისინიის ომი 1935-1941 წლებში მიმდინარეობდა. რედ.)

ბაყათარ მელიქაძე

„საყვარელო დედა და მამა,

დედა, მე გწერდით ჩემი ადრესის შეცვლის შესახებ. იმ ადგილიდან წავედი სხვა ალაგას. მიზეზი ის იყო, რომ ძალიან გაჭირვებული ვიყავი...თუმცა ასე თუ ისე გაცნობილ ადგილიდან წასვლას არაფერი გაუმჯობესებული ცვლილება მოუცია. თქვენი იმედი მქონდა და ვერაფერი დავინახე. ვიფიქრე, ჩემს საქმეს საშველი მაინც არ აქვს მეთქი და წავედი სამუშაოს საძებრად. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამიჭირდებოდა მუშაობა, სამუშაო ვერ ვიპოვე და ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში ვარ. ახლა ჩემთან არავინაა ქართველი. მათ სამგზავრო ფული დავესესხე, ერთი ათი დღის საჭმელი და წავედი მარტო. ყველამ შემაძახა, სად მიდიხარო ასთე მარტო, მაგრამ მე მაინც წავედი...მაგრამ ვერაფერი ვერ ვიშოვე. ახლა კი ვარ ისე ჩვეულებრივად. ამ ქალაქში გავიცანი სადღაც სამი რუსი და აგენის საშუალებით გავიკეთე ნდობით საჭმელი...ფული მომდის სახლიდან-მეთქი და ერთ ალაგას გამიხსნეს კრედიტი და ჯერჯერობით ქე ვარ. აწე რას ვიზამ არ ვიცი, თქვენ ყოველი შემთხვევაში აი, ამ ახალ ადრესზე გადმომიგზავნეთ.

ბაყათარი,

3 კვირკობისთვე.“

„საყვარელო დედა,

მივიღე შენი წერილი, სადაც იწერები შენს ავადმყოფობას, რომელმაც ძალიან შემაწუხა და ბოლოს იმასაც ქე მწერ, რომ ახლა ცოტა უკეთ ყოფილხარ და ამით უფრო იმედი მომეცა. რამენაირად კარგად მოუარე თავს დედა. მე სრული დარწმუნებული ვარ,რომელიმე რომ ავად გახდეთ, საშუალება მაინც გაქვთ, ნუგეშის მთქმელი მაინც გეყოლებათ და ალბათ სხვა საშუალება მაინც გექნებათ....

დედა შენ იწერები პასილკის გამოგზავნაზე. პასილკის გამოგზავნა მაქედან არ არის საჭირო, რადგან აქ ერთ ქართველს მოუვიდა თბილისიდან აგერ ერთი კვირაა და სწორეთ იმ დღეს შემხვდა მე, რა დღესაც პასილკის ქვითარი მიიღო ფოსტიდან, რომელსაც იმ დღეს არაფერი ეჭამა. იმის დახსნის საშუალება საიდან უნდა ქონებოდა... ერთი სიტყვით, უკან გამოაბრუნეს, აქაც ფულს ახდიებენ, ნუ გამოგზავნი. სხვა დედა, საკონსულოს ჩემი ახალი მისამართი გადაუგზავნე. ადვილი არ არის პასპორტის მიღება, თუ მაქედან რაიმე რეკომენდაცია არ არის. სხვა რა მოგწერო, ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა რომ მოგწერო, ეს თქვენ ძალიან შეგაწუხებს და ისევ ვანებებ თავს. სხვა აქ არაფრის საშუალება არ არის.

მამა თუ კარგად არის, რატომ წერილი არ მომწერა, მომწეროს ცოტა რამე.

იყავით კარგად.

ბაყათარი.

დედა, სხვათა შორის წერილს დაზღვეულს ნუ გამოგზავნი, არ არის საჭირო. წერილი არ იკარგება.“

„საყვარელო დედა და მამა,

თითქმის ორი წელია, წერილი არ გამომიგზავნია. დღეს გიგზავნი წერილს. არ ვიცი, მიიღებთ თუ არა. თუ მიიღოთ, წერილი იმავე დღესვე გამომიგზავნეთ.

მე აგერ ხუთი თვეა ცოლი შევირთე, ფრანგის ქალი. ძალიან კმაყოფილი ვარ. კარგი ოჯახიდანაა. მშობლები შეძლებული არიან. ვცხოვრობთ ძალიან კარგად. მაქვს საკუთარი ბინა ქ. ლიონში. ერთი სიტყვით, აწე მე არაფერი მიჭირს. აქაც მყავს პატრონი. ეს იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე თქვენზე არ ვფიქრობდე და არ მახსოვდეთ. ეს წერილი ძალით დამაწერია ცოლმა. მე კიდევ არ ვფიქრობდი მოწერას, იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდა მომეწერა, პირიქით, მაგრამ რა ვიცი, იქნებ თქვენთვის არ ვარგა, აქედან წერილს რომ ღებულობთ. აქ ყველანი ღებულობენ წერილებს, მიუხედავად იმისა, აქედან არ აგზავნიან. მე თქვენგან ვერ მივიღე, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი მისამართი არ იცოდით. ახლა გიგზავნით ჩემს მისამართს. ჩემი ცოლიც გიგზავნის წერილს. დაწვრილებით წერილს არ გწერთ. თუ მიიღებთ არ ვიცი. თუ ცოცხალი ხართ, არც იგი ვიცი. გამაგებინეთ თქვენი ამბავი, თუ მიიღეთ ეს წერილი.

თქვენი **ბაყათარი.**

10 თებერვალი, 1939 წელი, ქ. ლიონი.“

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „ალიონი“ № 13

ამის შემდეგ ოჯახში წერილების მიღება შეწყდა. მით უმეტეს, მაქსიმელის და სონას სიძე, ხარიტონ ჯინჭარაძე რეპრესირებული იყო. ოჯახმა ფრაგმენტულად მხოლოდ ის იცოდა, რომ ბაყათარს ფრანგ მეუღლესთან შვილი არ შესძენია. გარდაიცვალა სავარაუდოდ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში...

იზო

იზო სკოლაში კარგად სწავლობდა. გამორჩეული იყო ნიჭიერებითაც და სილამაზითაც.

როგორც იზოს მეზობელი და ბავშვობის მეგობარი, 87 წლის ნათელა რამიშვილი იგონებს, იზოს ბავშვობა იმით გამოირჩეოდა სხვებისაგან, რომ იგი „ხალხის მტერის“ შვილი იყო, არადა, მისი მშობლები, ბებია-ბაბუა კარგი ადამიანები იყვნენ.

—აბა რა გითხრათ, იზო ჩვენს სამეგობროში ყველაზე უმცროსი იყო. მამა რომ დაუჭირეს, 3 წლის იყო. ჩვენ პატარები ვიყავით, უფროსები შიშით ყვებოდნენ იზოს მამის დაჭერის ამბავს. ოჯახს ძალიან უჭირდა. არ ვიცი, როგორ გადმოვცე, რა დამართეს იმ წლებში მათ —გვითხრა ქალბატონმა ნა-

იზოლდა ჯინჭარაძე

თელამ.

სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ „ხალხის მტრის“ შვილს ოქროს მედალი არ მისცეს. ვერცხლის მედალი აკმარეს.

იზომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მისი მშველელი მისი უახლოესი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ...

„სტალინის კულტის“ დაგმობის შემდეგ ხარიტონ ჯინჭარაძის რეაბილიტაცია მოხდა.

„თამარ, გამარჯობა.

გისურვებ ჯანმრთელად ყოფნას. მომიკითხე თქვენი გოგონა და დედა. მოკითხვას გითვლიან: მიხო, ნელი, იტო, მაღლა რომ ცხოვრობს რუხაძე ნათელა და დაბლა მახათაძე.

თამარა, მე არ ვიცოდი თქვენი მისამართი და მახათაძემ მომცა. ორი დღის წინ თქვენს სახელზე დეპეშა მივიღეთ ტაშკენტიდან.

თუ მიიღო ეს წერილი, მომწერე და გამოგიგზავნი დეპეშას. ეხლა იმიტომ არ გიგზავნი, რომ შეიძლება დაიკარგოს.“ წერდა თბილისელი მეზობელი მარგო.

1/5801 20 3 12 55

Здаров · телеграфте · полученне · денежного · переода. Ташкент. · Кирова · №4 · рахматулаеву · для · Джинчарадзе. · Целуй милучку · Бичню. · Целую · Васс. ·

—ასეთი იყო დეპეშის ტექსტი.

(თბილისიდან გამოგზავნილ წერილს გარედან ადევს დამღა

ПРОСМОТРЕНО · Военон · Цензурон ТВИЛИСИ · 34). · 7

თითქმის 20-წლიანი გაუსაძლისი ყოფის შემდეგ თამარს ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. როცა თამარმა მეუღლის ამბავი მოიკითხა, უთხრეს: —„რომ გაიგო რეაბილიტაციის შესახებ, სიხარულისაგან გული გაუსკდა და დაიღუპაო...“. ერჯერადი ფულადი დახმარება გადასცეს...როგორც შემდეგ გაიგეს, ხარიტონი 1938 წელს დაიღუპა.

იზო ჯინჭარაძე დედასა და ბებიასთან ერთად

იზო თანდათან დაუახლოვდა ეროვნული სულისკვეთების მქონე ადამიანებს.იგი მოწიწებით გვიყვებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის შესახებ...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იზო ჯინჭარაძე ჩაის მრეწველობის საკავშირო-სამეცნიერო საკვლევ ინსტიტუტში მუშაობდა წამყვან მეცნიერ მუშაკად.

მე-4 კლასში ვიყავი, იზო მოსკოვში გაგზავნეს ინსტიტუტიდან მივლინებით. როცა დაბრუნდა, უბნის ყველა ბავშვისთვის ჩამოიტანა საჩუქარი. ეს უბრალოდ ფრაგმენტია მისი ახალგაზრდებთან ურთიერთობიდან. იზო იყო მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდებისათვის უფასო მასწავლებელი და დამრიგებელი.

ცოტა ხელფასის დანაზოგს რომ მოუყარა თავი, ბელეტაჟი სახლი დადგა და დედას და ბებიას ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სითბო და სიყვარული, რაც მათ სანათესაოში სუფევდა. ბიძაშვილი, ანდრო ჯინჭარაძე მუდამ გვერდით ედგა ოჯახს. არც თუ იშვიათად ჩამოდიოდნენ მამიდაშვილები იმედო მდივანი, მზია მზეკალავა, რომელიც ცნობილი მეცნიერის, პროფესორ გრივერ ფარულავას მეუღლე გახლავთ.

ისე მოხდა, რომ იზო არ დაქორწინებულა... ბებია სონა 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. დედა თამარმაც 1979 წელს დატოვა წუთისოფელი.

იზოს შვილად ჰყავდა მიღებული ანდროს ქალიშვილი —ნანა ჯინჭარაძე. არც მეზობლის ობოლ ბიჭებს აკლებდა ყურადღებას.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა ეროვნული მოძრაობა გააქტიურდა, იზო მათ გვერდით იყო. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, არსებული ხელისუფლება არასწორ ინფორმაციებს აქვეყნებდა. იზოს ინიციატივით ექადიის კულტურის სახლში 9 აპრილის ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კადრების ჩვენება მოეწყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობისათვის.

1991-1992 დეკემბერ-იანვრის სამოქალაქო ომის შემდეგ, ცხოვრება სხვაგვარი გახდა, რაღაც უფერული და უინტერესო. უშუქობა, სამსახურები სულს ღაფავდნენ.. აფხაზეთის ომი, კრიმინალური ელემენტების გააქტიურება და მკვლელობები, საწუთროდან უდროოდ წასული მეგობრები, მეზობლები. ალბათ ამ ყოველივემ დიდი გავლენა იქონია იზოს ჯანმრთელობაზე...

გარდაცვალებაც ტრაგიკული იყო...2004 წლის 24 დეკემბერს მეზობლებმა იზო გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ სახლში...პოეტის არ იყოს „ვინ იცის, როდის დაიღუპება, განაპირდება...“

ალბათ, წელსაც მივლენ იზოს საფლავთან მამიდაშვილი მზია, ბიძაშვილისშვილი ნანა, უახლოესი მეგობარი ნუნუ ტურძილაძე...

„ბინდისფერია სოფელი....“

ქალბატონ ოზურგეთელებს! ვილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



i აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული უდიდესია ქრისტიანეთ დღესასწაულთა შორის. ყველა მართმადიდებელი ქრისტიანისთვის ეს ყველაზე დიდი სიხარულისა და იმედის მომტანი დღეა. სიყოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლებისა და საყოველთაო განახლების დღესასწაული.

ჩემო ოზურგეთელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და თქვენი ოჯახების კეთილდღეობას.ეს დღე თქვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი ყოფილიყოს.

მარიკა ჩხიკვიშვილი,
ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე

i სრულიად მართმადიდებლური სამეფო აღნიშნავს უდიდეს დღესასწაულს –აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

გილოცავთ ჩემო პატარებო, პედაგოგებო, მშობლებო და გისურვებთ ჰომ ამ დღის ბრწყინვალება იყოს დასაბამი ქვეყნის გამთლიანების, ქართველთა გამრავლების, ეროვნეთის მეტი სიყვარულის და პატივისცემის.

უფლის წყალობა არ მოგეკარებოდეთ!

მაკა ჭყონია,
ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი

i ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ!

უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული ჩვენი ქვეყნის მოქალაქის, მათ შორის, ოზურგეთელების, გურიანთელების ოჯახებს. ასრულებოდეს ჩვენი სურვილი და გვეცხოვროს მშვიდობიან, გამთლიანებულ, ეკონომიურად ძლიერ და სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყანაში.

უფალი იყოს თქვენი მფარველი!

მაია ზოლაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. გურიანთა

i ჩემო ოზურგეთელებო, ასურანელებო!

ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღდგომის მადლი შეენიოს თითოეული თქვენგანის ოჯახს. გამრავლდით და გაძლიერდით.

ღვთის რწმენითა და სიყვარულით გვეცხოვროს ერთიან საქართველოში.

ლევან ნინიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოფ. ასკანა

ბავშვთა გასართობი ცენტრი „პინოქიო“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესაწაულს!

თქვენ ჩვენთან გელით განახლებული პროგრამა, სხვა სიახლეები. სადღესასწაულო დღეებში მოგემსახურებით ფასდაკლებით. ყველა იუბილარს ელოდება განსაკუთრებული სიურპრიზი. გვეწვიეთ, თქვენ აქ თქვენი საყვარელი ზღაპრის გმირები გელოდებათ!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, გურიის ქ.№5-ა.

შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, გაბ. ეპისკოპოსის ქ. № 1

შპს „როიალ გაზი" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესაწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, უნივერსიტეტის ქ. №1

სს „ტრანსერვისი“ გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს!

ტაქსი გამოძახებით:
0(496) 275544; 0790 554455

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე ღრუბელი +12+25	მზე ღრუბელი +10+24	მზე ღრუბელი +10+20	მზე ღრუბელი +8+17	მზე +9+17	მზე ღრუბელი +12+19	წვიმა +7+13
9 აპრილი ორშაბათი	10 აპრილი სამშაბათი	11 აპრილი ოთხშაბათი	12 აპრილი ხუთშაბათი	13 აპრილი- პარასკევი	14 აპრილი შაბათი	15 აპრილი კვირა